სისხლის სამართლის სტატისტიკის

ერთიანი ანგარიში

საანგარიშო პერიოდი - 2015 წლის ოქტომბერი

შინაარსი

თავი II.	**პროკურატურის სტატისტიკა**	3
ნაწილი 4	სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის მაჩვენებლები	3
4.1	დევნის დაწყების მაჩვენებელი პირების მიხედვით	3
4.2	დევნის დაწყების მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით	4
4.3	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი პირების მიხედვით	16
4.4	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით	16
ნაწილი 5	დაზარალებული პირები	19
5.1	დაზარალებული პირები ასაკობრივ, სქესობრივ ჭრილსა და მოქალაქეობის მიხედვით	19
5.2	დაზარალებული პირები სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით	21
ნაწილი 6	არასრულწლოვნები	27
6.1	დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ	27
6.2	დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით	28
6.3	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ	31
6.4	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით	31
6.5	დაზარალებული არასრულწლოვნები	31
თავი III.	**სასამართლო სტატისტიკა**	34
ნაწილი 7	სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები	34
7.1	აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შედეგები	34
ნაწილი 8	პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლის საქმეები	36
8.1	პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა	36
8.2	არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები	37
8.3	საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები	38
ნაწილი 9	მსჯავრდებულები	38
9.1	მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით	38
9.2	მსჯავრდებულთა შემადგენლობა	39
9.3	არასრულწლოვანი მსჯავრდებულები	42
ნაწილი 10	დანაშაული და შეფარდებული სასჯელები	44
10.1	დანაშაულისა და შეფარდებული სასჯელების რაოდენობა დანაშაულთა სახეების მიხედვით	44
10.2	დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების რაოდენობა რეგიონების მიხედვით	49
თავი IV.	**საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის სტატისტიკა**	52

ნაწილი 11	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტი	52
11.1	ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები	52
11.2	არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები	57
11.3	მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით	58
11.4	მსჯავრდებულები დაწესებულების ტიპის მიხედვით	60
11.5	საპატიმრო ადგილების ლიმიტები	61
11.6	უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულები და მსჯავრდებულები	62
11.7	წარსულში ნასამართლევი ბრალდებულები და მსჯავრდებულები	65
11.8	დაოჯახებული ბრალდებულები და მსჯავრდებულები	66
11.9	პენიტენციურ სისტემაში და სისტემის გარეთ გადაყვანა	68
11.10	პენიტენციური სისტემიდან გასვლა	68
11.11	რესოციალიზაციის მიმდინარეობა	71
11.12	სამეურნეო სამუშაოებში დასაქმება	73
11.13	დისციპლინური ღონისძიებები	75
11.14	წახალისების ღონისძიებები	76
11.15	პაემნის ღონისძიებები	77
11.16	პენიტენციურ სისტემაში მომხდარი დანაშაულები	78
11.17	ავადობა პენიტენციურ სისტემაში	80
11.18	გარდაცვალება	86
ნაწილი 12	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო	87
12.1	პირობით მსჯავრდებულები	87
12.2	საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე	89
12.3	პირობით მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით	90
12.4	არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით	91
12.5	პირობით მსჯავრდებულები არასაპატიმრო სასჯელის ტიპის მიხედვით	92
12.6	უცხოელი პირობით მსჯავრდებულები	93
12.7	პირობით მსჯავრდებულთა მატება	94
12.8	დასრულებული საქმეები	95
12.9	პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია	97
12.10	პირობით მსჯავრდებულთა დასაქმება	99
12.11	პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლეობის მოხსნა	100
12.12	პირობით მსჯავრდებულთა შეწყალება	101

თავი II. პროკურატურის სტატისტიკა

ნაწილი 4. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის მაჩვენებლები

4.1. დევნის დაწყების მაჩვენებელი პირების მიხედვით

2015 წლის ოქტომბრის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულ იქნა 1641 პირის მიმართ. აქედან გამოსაცდელი ვადის გასვლამდე დანაშაული ჩადენილ იქნა 354 პირის მიერ, რაც დევნადაწყებული პირების 21,6%-ს შეადგენს (ცხრილი 3).

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 4):

დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში
(% მიუთითებს ხვედრით წილს სულ დევნის დაწყების მაჩვენებელში)



როგორც მონაცემებიდან ჩანს, დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისში ფიქსირდება, ხოლო დაბალი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

4.2. დევნის დაწყების მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით

2015 წლის ოქტომბერში დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ის კონკრეტული მუხლების მიხედვით ასე გადანაწილდა (ცხრილი 5):

<u>დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):</u>



<u>დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):</u>



<u>ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა (სსკ-ის მუხლები: 127-136):</u>

მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში აღნიშნული დანაშაულების ჯგუფინდა დევნის დაწყების მაჩვენებელი დაფიქსირდა მხოლოდ 1 პირის მიმართ სსკ-ის 128-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (განსაცდელში მიტოვება)

<u>დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):</u>



<u>დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):</u>



<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):</u>



<u>დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 190-207[1]):</u>



<u>დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში (სსკ მუხლები 208-213):</u>

დევნის დაწყების მაჩვენებელი ფულად-საკრედიტო სისტემაში დაფიქსირებულ დანაშაულებზე
(2015 წლის ოქტომბერი)



<u>დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში (სსკ მუხლები 214- 219):</u>

დევნის დაწყების მაჩვენებელი საფინანსო საქმიანობის სფეროში
დაფიქსირებულ დანაშაულებზე
(2015 წლის ოქტომბერი)

<u>დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 220-221):</u>

ზემოთ აღნიშნულ დანაშაულთა ჯგუფებიდან დევნა დაიწყო გულგრილობის დანაშაულზე 2 პირის მიმართ.

<u>დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239):</u>

დევნის დაწყების მაჩვენებელი საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2015 წლის ოქტომბერი)



<u>სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა (სსკ მუხლები 240-245):</u>

საანგარიშო პერიოდში აღნიშნულ დანაშაულთა ჯგუფიდან დევნა დაწყებულ იქნა 2 პირის მიმართ სსკ-ის 240-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა).

<u>დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 246-259):</u>



<u>ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):</u>



<u>სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):</u>



<u>კომპიუტერული დანაშაული (სსკ მუხლები 284-286):</u>



<u>დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 287-306):</u>



<u>სამოხელეო დანაშაული (სსკ მუხლები 332-342[1]):</u>



<u>დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):</u>



<u>დანაშაული სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 364-367¹):</u>

სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან დევნა დაწყებულ იქნა სსკ-ის 366-ე მუხლით (სასამართლოს უპატივცემულობა) 1 პირის მიმართ.

<u>დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 368-373):</u>



<u>დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება (სსკ მუხლები 374-376):</u>

დევნა დაწყებულ იქნა 3 პირის მიმართ სსკ-ის 376-ე მუხლით (დანაშაულის შეუტყობინებლობა).

<u>დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 377-381²):</u>



<u>დანაშაული დაქვემდებარების წესისა და სამხედრო ღირსების დაცვის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 382-396):</u>



4.3. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი პირების მიხედვით

2015 წლის ოქტომბრის თვეში დევნა შეწყდა 46 პირის მიმართ. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 3; ცხრილი 4):



დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია თბილისის რეგიონში (28,3%).

4.4. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით

2015 წლის ოქტომბერში დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სსკ-ის მუხლების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 6):

<u>დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):</u>



<u>დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):</u>

<u>დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 171-176):</u>

დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ სსკ-ის 176-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება)

<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):</u>

დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2015 წლის ოქტომბერი)



<u>დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 190-207[1]):</u>

დევნა შეწყდა 2 პირის მიმართ სსკ-ის 192-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (უკანონო სამეწარმეო საქმიანობა).

<u>დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში (სსკ მუხლები 208-213):</u>

დევნა შეწყდა 2 პირის მიმართ ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენების დანაშაულზე.

<u>დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239):</u>

სსკ-ის 238-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე დევნა შეწყვეტილ იქნა 1 პირის მიმართ.

<u>სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):</u>

დევნა შეწყდა 6 პირის მიმართ სსკ-ის 276-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა).

<u>კომპიუტერული დანაშაული (სსკ მუხლები 284-286):</u>

დევნა შეწყდა 2 პირის მიმართ კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფის დანაშაულზე.

<u>ტერორიზმი (სსკ მუხლები 323-331[1]):</u>

დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების დანაშაულზე.

<u>დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 377-381[2]):</u>

დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ სსკ-ის 378-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების საქმიანობისათვის ხელის შეშლა ან ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია).

ნაწილი 5. დაზარალებული პირები

5.1. დაზარალებული პირები ასაკობრივ, სქესობრივ ჭრილსა და მოქალაქეობის მიხედვით

2015 წლის ოქტომბერში სულ დაზარალებულ პირთა რაოდენობამ შეადგინა 921. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დაზარალებული პირები ასე გადანაწილდა (ცხრილი 7):



დაზარალებული პირები სქესობრივ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 5):



2015 წლის ოქტომბრის თვეში დაზარალებული პირების უმეტესობა საქართველოს მოქალაქეა (ცხრილი 5):



5.2. დაზარალებული პირები სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით

2015 წლის ოქტომბერში დაზარალებული პირები სსკ-ის კონკრეტული მუხლების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 8):

<u>**დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):**</u>



<u>დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):</u>



<u>დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):</u>



<u>დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):</u>



<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):</u>



<u>დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239):</u>



<u>სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა (სსკ მუხლები 240-245):</u>

2 პირი დაზარალდა სსკ-ის 240-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა).

<u>სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):</u>

<u>კომპიუტერული დანაშაული (სსკ მუხლები 284-286):</u>

კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის შედეგად (სსკ-ის 284-ე მუხლი) დაზარალებულ იქნა 2 პირი.

<u>დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 287-306):</u>

1 პირის დაზარალდა სსკ-ის მე-303-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად.

<u>სამოხელეო დანაშაული (სსკ მუხლები 332-342[1]):</u>



<u>დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):</u>



<u>დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 377-381²):</u>

დაზარალდა 1 პირი დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების ან/და ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად (სსკ-ის 381¹ მუხლი).

<u>დანაშაული დაქვემდებარების წესისა და სამხედრო ღირსების დაცვის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 382-396):</u>

2 პირის დაზარალდა სსკ-ის 385-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (უფროსის მიმართ ძალადობა).

ნაწილი 6. არასრულწლოვნები

6.1 დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ

2015 წლის ოქტომბერში სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულ იქნა 40 არასრულწლოვნის მიმართ. აქედან 8 პირმა (20%) დანაშაული ჩაიდინა გამოსაცდელი ვადის გასვლამდე (ცხრილი 3).

არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 4):

დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ რეგიონულ ჭრილში (% მიუთითებს ხვედრით წილს სულ არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელში)



როგორც მონაცემებიდან ჩანს თბილისზე არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების 40% მოდის.

6.2. დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით

2015 წლის ოქტომბრის თვეში არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელი კონკრეტული დანაშაულების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 5):

<u>დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):</u>



<u>დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):</u>



<u>დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):</u>

დევნა დაიწყო 1 არასრულწლოვნის მიმართ სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების ჩადენის შედეგად (სსკ-ის 138-ე მუხლი).

<u>დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):</u>

დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ სსკ-ის 150-ე მუხლით (იძულება).

<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):</u>

<u>დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239):</u>

დევნა დაიწყო 2 არასრულწლოვნის მიმართ 21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარების დანაშაულზე (სსკ-ის 238[1] მუხლი).

<u>დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 246-259):</u>

დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ მიცვალებულისადმი უპატივცემულობის დანაშაულზე (სსკ-ის 258-ე მუხლი).

<u>ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):</u>



<u>კომპიუტერული დანაშაული (სსკ მუხლები 284-286):</u>

დევნა დაიწყო 1 არასრულწლოვანი პირის მიმართ სსკ-ის 284-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულით (სსკ-ის 284-ე მუხლი).

<u>დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):</u>



6.3. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ

2015 წლის ოქტომბერში დევნა შეწყდა მხოლოდ 1 არასრულწლოვნის მიმართ. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი დაფიქსირდა შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში (ცხრილი 3, ცხრილი 4):

ამრიგად, საანგარიშო პერიოდში არასრულწლოვანთა მიმართ დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი საქართველოს დანარჩენ რეგიონებში არ დაფიქსირებულა.

6.4. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით

2015 წლის ოქტომბრის თვეში არასრულწლოვანთა მიმართ დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი დაფიქსირდა სსკ-ის 331-ე მუხლზე (ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება) 1 პირის მიმართ (ცხრილი 6).

6.5. დაზარალებული არასრულწლოვნები

2015 წლის ოქტომბრის თვეში დაზარალებულ არასრულწლოვანთა რაოდენობამ შეადგინა 79 პირი (ცხრილი 7).

დაზარალებული არასრულწლოვნები დანაშაულების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 8):

<u>დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):</u>



<u>დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):</u>



<u>დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):</u>



<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):</u>

<u>დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239):</u>

დაზარალდა 7 არასრულწლოვანი ხულიგნობის დანაშაულზე (სსკ-ის 239-ე მუხლი).

<u>სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):</u>

25 არასრულწლოვანი პირი დაზარალდა სსკ-ის 276-ე მუხლით (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად.

თავი III. სასამართლო სტატისტიკა

ნაწილი 7 - სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები

7.1 აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შედეგები

2015 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულია საგამოძიებო ორგანოებიდან აღკვეთის ღონისძიებების შეფარდებაზე შემოსული 1631 შუამდგომლობა. განხილული შუამდგომლობებიდან დაპატიმრების ხვედრითი წილი შეადგენს 37,0%-ს, გირაოს ხვედრითი წილი - 61,8%-ს, გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების ხვედრითი წილი - 1,0%-ს (იხ. დანართი ცხრილი №9).

განხილული შუამდგომლობები



სულ განხილული შუამდგომლობიდან სასამართლოს მიერ *დაკმაყოფილებულ იქნა* 903 შუამდგომლობა, ანუ 55,4%. მათ შორის: დაპატიმრების შეფარდებაზე განხილული

შუამდგომლობებიდან სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა 55,7%, გირაოს შეფარდებაზე დაკმაყოფილებულ იქნა 54,9%.

დატოვებულია განუხილველად საპროცესო შეთანხმების დამტკიცების გამო საგამოძიებო ორგანოებიდან შემოსული 323 შუამდგომლობა, ანუ 19,8%.

საგამოძიებო ორგანოებიდან შემოსული შუამდგომლობებიდან *უარი ეთქვა* მოცემული შუამდგომლობის შეფარდებაზე და შეეფარდა სხვა აღკვეთის ღონისძიება, ან უარი ეთქვა შეფარდებაზე 405 შუამდგომლობას, ანუ 24,8%-ს;

შუამდგომლობების განხილვის შედეგები



2015 წლის ოქტომბერში სულ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებებიდან დაპატიმრებაზე მოდის 26,7% (336), გირაოზე - 63,9% (803), გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმებაზე - 8,8% (110).

შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები



2015 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ სულ შეფარდებული 1095 აღკვეთის ღონისძიებიდან საპატიმრო იყო 336, ანუ 26,7%, ხოლო არასაპატიმრო - 921, ანუ 73,3%. არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებებში შეფარდებული გირაოს ხვედრითმა წილმა შეადგინა 87,2%.

ნაწილი 8 - პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლის საქმეები

8.1 პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა

2015 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილულია 1176 საქმე 1346 პირის მიმართ, აქედან განაჩენის გამოტანით განხილულია 1143 საქმე, ანუ 97,2%, შეწყდა 10 საქმე (0,9%), დაუბრუნდა პროკურატურას 23 საქმე, ანუ 2,0% (იხ. დანართი ცხრილი №10).

2015 წლის ოქტომბერში განაჩენის გამოტანით განხილული საქმეებიდან საპროცესო შეთანხმებით განხილული იყო 710 საქმე (სულ განხილული საქმეების 62,1%) 809 პირის მიმართ (სულ განხილული პირების 62,0%), არსებითი განხილვით დამთავრდა 433 საქმე (შესაბამისად 37,9%) 495 პირის მიმართ (38,0%).

პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებითად და საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეების ხვედრითი წილი განაჩენის გამოტანით განხილულ საქმეებში



8.2 არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები

2015 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებითი განხილვით დამთავრებული 433 საქმიდან გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა 414 საქმეზე, გამამართლებელი განაჩენი - 12 საქმეზე, ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი 7 საქმეზე (იხ. დანართი ცხრილი №11).

2015 წლის ოქტომბერში სულ არსებითი განხილვით მსჯავრდებული, გამართლებული და შეწყვეტილი 506 პირიდან გამართლებულ პირთა ხვედრითი წილი შეადგენს 5,9%-ს, ნაწილობრივ

გამართლებული პირების ხვედრითი წილი - 1,6%-ს, ხოლო იმ პირების ხვედრითი წილი, რომელთა მიმართ საქმე შეწყდა შეადგენს 2,2%-ს (იხ. დანართი ცხრილი №12).

8.3 საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები

2015 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში სულ საპროცესო შეთანხმებით შემოსული იყო 375 სისხლის სამართლის საქმე 425 პირის მიმართ. საპროცესო შეთანხმებით განაჩენი გამოტანილ იქნა 710 საქმეზე 809 პირის მიმართ. საპროცესო შეთანხმებით გამოტანილ განაჩენებში საბრალდებო დასკვნით შემოსული საქმეების ხვედრითი წილი შეადგენს 48,0% (იხ. დანართი ცხრილი №13).

ნაწილი 9 - მსჯავრდებულები

9.1 მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით

2015 წლის ოქტომბერში სულ მსჯავრდებული 1274 პირიდან:

- თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 342 პირს, ანუ 26,8%-ს;

- პირობითი მსჯავრი შეეფარდა 636 პირს, ანუ 49,9%-ს;

- ჯარიმა შეეფარდა 247 პირს, ანუ 19,4%-ს;

- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 49 პირის, ანუ 3,8%.

მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით



9.2 მსჯავრდებულთა შემადგენლობა

2015 წლის ოქტომბერში სულ მსჯავრდებული 1274 პირიდან მამაკაცი შეადგენდა 94,7%-ს, ხოლო ქალი 5,3%-ს.

ალკოჰოლურ სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენდა 0,5%-ს, ნარკოტიკულ სიმთვრალეში კი 0,8%-ს; ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენს 1,9%-ს. სოფლად ჩადენილი დანაშაული შეადგენს 23,5%-ს. სულ მსჯავრდებული პირებიდან სხვა სახელმწიფოს მოქალაქე იყო 2,7% (იხ. დანართი ცხრილი №14).

ასაკის მიხედვით მსჯავრდებულები ნაწილდება შემდეგნაირად:

- 14-17 წლის ასაკის მსჯავრდებულია 16 პირი, რაც შეადგენს 1,3%-ს,

-18-24 წლის ასაკის - 292 პირი, ანუ 22,9%,

- 25-29 წლის ასაკის - 230 პირი, ანუ 18,1%,

- 30-49 წლის ასაკის - 564 პირი, ანუ 44,3%;

- 50 წლის ზევით ასაკის - 172 პირი, ანუ 13,5%.

მსჯავრდებულთა განაწილება ასაკის მიხედვით



მსჯავრდებულთა შორის არასრული საშუალო განათლების მქონეა 47 პირი, ანუ 3,7%, საშუალო განათლების მქონეა 1061 პირი, ანუ 83,3%, უმაღლესი განათლების მქონეა 165 პირი, ანუ 13,0%.

მსჯავრდებულთა განაწილება განათლების დონის მიხედვით



1274 მსჯავრდებული პირიდან:

- უმუშევარია 1153, ანუ 90,5%

- კომერციული ან სხვა ორგანიზაციის მოსამსახურეა 57, ანუ 4,5%

- სხვა მომუშავეა 23, ანუ 1,8%

- კერძო მეწარმეა 9, ანუ 0,7%

- მოსწავლე ან სტუდენტია 5, ანუ 0,4%

- საჯარო მოსამსახურეა 15, ანუ 1,2% და სხვა.

მსჯავრდებულთა გადანაწილება საქმიანობის მიხედვით

(პროცენტობით)



მოუხსნელი და გაუქარწყლებელი ნასამართლობის მქონეა მსჯავრდებულთა 5,4%.

9.3 არასრულწლოვანი მსჯავრდებულები

2015 წლის ოქტომბერში მსჯავრდებული იყო 16 არასრულწლოვანი, რაც შეადგენს ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში სულ მსჯავრდებული პირების 1,3%-ს.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულებიდან ვაჟი იყო 16, ანუ 100,0%. არ მუშაობდა და არ სწავლობდა 13 არასრულწლოვანი, ანუ სულ მსჯავრდებული არასრულწლოვნების 81,3% (იხ. დანართი ცხრილი №15).

2015 წლის ოქტომბერში სულ მსჯავრდებული 16 არასრულწლოვანიდან თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 3 პირს, ანუ 18,8%-ს, პირობითი მსჯავრი 11 პირს, ანუ 68,8%-ს, ჯარიმა 2 პირს, ანუ 12,5%-ს.

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელების მიხედვით



მსჯავრდებული 16 არასრულწლოვანი პირი დანაშაულის სახეების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:

- ქურდობისათვის მსჯავრი დაედო 7 პირს, ანუ 43,8%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 2 პირს, ანუ 28,6%-ს;

- ძარცვისათვის და ნარკოტიკული დანაშაულისათვის მსჯავრი დაედო 2-2 პირს, ანუ 12,5%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა არ შეეფარდა არც ერთ პირს;

- განძრახ მკვლელობისათვის მსჯავრი დაედო 1 პირს, ანუ 12,5%-ს, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა არ შეეფარდა არც ერთ პირს და სხვა (იხ. დანართი ცხრილები №16,17).

რეგიონების მიხედვით არასრულწლოვანი მსჯავრდებულები ნაწილდებიან შემდეგნაირად:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ იქნა 10 არასრულწლოვანი, ანუ 62,5%;

- იმერეთისა და აჭარის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იქნა 2-2 არასრულწლოვანი, ანუ 12,5%;

- მცხეთისა და სამეგრელოს სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იქნა თითო-თითო არასრულწლოვანი, ანუ 6,3% (იხ. დანართი ცხრილი №18).

ნაწილი 10 - დანაშაული და შეფარდებული სასჯელები

10.1 დანაშაულისა და შეფარდებული სასჯელების რაოდენობა დანაშაულთა სახეების მიხედვით

2015 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განაჩენის გამოტანით განხილულ იქნა 1143 საქმე 1304 პირის მიმართ. მსჯავრდებული 1274 (30 პირის მიმართ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი) პირის მიერ ჩადენილი იყო 1430 დანაშაული, ხოლო დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნულ იქნა 1592 სასჯელი (იხ. დანართი ცხრილი №19).

2015 წლის ოქტომბერში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაული შეადგენს 12,9%-ს, მძიმე დანაშაული - 21,5%-ს, ნაკლებად მძიმე დანაშაული 65,5%-ს.

ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული 1592 სასჯელიდან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი შეადგენს 12,8%-ს, მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი - 24,2-ს, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი - 63,1%-ს.

მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი დანაშულებისა და ჩადენილი დანაშაულებისათვის

დანიშნული სასჯელების სტრუქტურა დანაშაულის კატეგორიების მიხედვით



განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 52,2%-ს, პირობითი მსჯავრის - 43,8%-ს, ჯარიმის - 3,9%-ს.

მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 57,4%-ს, პირობითი მსჯავრის - 39,0%-ს, ჯარიმის - 3,6%-ს.

ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 19,8%-ს, პირობითი მსჯავრის - 48,9%-ს, ჯარიმის - 25,9%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის - 5,4%-ს.

ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელების ფორმების

სტრუქტურა დანაშაულის კატეგორიების მიხედვით



2015 წლის ოქტომბერში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილია 190 ძალადობრივი დანაშაული, რაც სულ ჩადენილ დანაშაულში შეადგენს 13,3%-ს, აღნიშნული დანაშაულებისათვის დანიშნულია 206 სასჯელი, ანუ 12,9%. პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ ძალადობრივი დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 25,7%-ს, პირობითი მსჯავრის 25,2%-ს, ჯარიმის - 38,3%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის - 10,7%-ს.

ძალადობრივი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელები



ოქტომბერში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულებიდან კორუფციული დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენს 2,4%-ს, დანიშნული სასჯელების ხვედრითი წილი - 2,4%-ს (იხ. დანართი ცხრილი №20).

საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილ დანაშაულში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი მოდის: ნარკოტიკულ დანაშაულზე - 26,2% (375), საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე - 31,7% (454), საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ დანაშაულზე - 3,6 (52), დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ - 5,0% (72), ჯანმრთელობის წინააღმდეგ დანაშაულზე - 14,2% (203) და სხვა.

მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების სტრუქტურა



2015 წლის ოქტომბერში დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული 1592 სასჯელიდან:

- თავისუფლების აღკვეთა შეადგენს 33,0%-ს (526);

- პირობითი მსჯავრი 45,9%-ს (730);

- ჯარიმა 17,7%-ს (282);

- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 3,4%-ს (54).

დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული სასჯელების სტრუქტურა



10.2 დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

2015 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის შეფარდებული სასჯელებიდან 658, ანუ 41,3% მოდის თბილისის საქალაქო სასამართლოზე, იმერეთის სასამართლოებზე - 209, ანუ 13,1%, აჭარის სასამართლოებზე - 157, ანუ 9,9%, %, ქვემო ქართლის სასამართლოებზე - 104, ანუ 6,5%, სამეგრელოს სასამართლოებზე - 106, ანუ 6,7%, კახეთის სასამართლოებზე - 141 ანუ 8,9% და სხვა (იხ. დანართი ცხრილი №21).

ჩადენილი დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების განაწილება რეგიონების მიხედვით



ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელების ფორმების

სტრუქტურა რეგიონალურ ჭრილში (პროცენტობით)



თითოეული დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელის ღონისძიებებში თავისუფლების აღკვეთის მაღალი ხვედრითი წილი მოდის: აჭარაზე - 49,0%, რაჭაზე - 42,9%, იმერეთსა და კახეთზე - 25,5% თბილისზე - 39,8%, მცხეთა-თანეთზე - 34,1% და ა.შ.

პირობითი მსჯავრის მაღალი ხვედრითი წილი მოდის: შიდა ქართლზე - 64,1%, სამეგრელოზე - 62,3%, გურიაზე - 61,0%, კახეთზე - 57,4%, იმერეთზე - 49,8%, თბილისზე - 43,8%, სამცხე-ჯავახეთზე - 42,0%, ქვემო ქართლზე - 50,0% და ა.შ.

ჯარიმის მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა: რაჭა - 42,9%, მცხეთა-მთიანეთი - 29,3%, აჭარა - 26,4%, რაჭა- 31,2%, სამცხე-ჯავახეთი - 34,0%, იმერეთი - 19,6% და სხვა.

თავი IV. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის სტატისტიკა

ნაწილი 11 - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტი

11.1 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის შედარება საქართველოს მოსახლეობის რაოდენობასთან სქესობრივ ჭრილში

2015 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, პენიტენციური დეპარტამენტის დაწესებულებებში განთავსებული იყო სულ 10 201 პირი. მათგან, 9 876 კაცი და 325 ქალია.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს (შემდგომში - „სამინისტრო“) ანალიტიკური დეპარტამენტის სტატისტიკის, კვლევისა და ანალიზის სამმართველოში ყოველთვიურად ხდება ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის პროცენტული შედარება, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2015 წლის 1 იანვრის მონაცემებით დაფიქსირებულ, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობასთან. ქვეყნის მოსახლეობის აღნიშნულ რაოდენობასთან პენიტენციური დეპარტამენტის მიმდინარე წლის ოქტომბრის მონაცემების შედარების შედეგად ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რიცხვმა (10 201) ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობის (3 729 500) 0.27% შეადგინა. მამრობითი სქესის ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობა (9 876) ქვეყნის მამრობითი სქესის მოსახლეობის (1 778 500) 0.56%-ს, ხოლო მდედრობითი სქესის ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობა (325) ქვეყნის მდედრობითი სქესის მოსახლეობის (1 951 000) 0.02%-ს შეადგენს (იხ. დანართი, ცხრილი №22).

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში

2015 წლის ოქტომბრის თვეში, სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ყველაზე მეტი ხვედრითი წილი სრულწლოვან კაცებზე მოდიოდა (9 824). ქვემოთ მოცემულია ყველა დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ამსახველი დიაგრამები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში, სადაც უფრო დეტალურად არის ნაჩვენები სქესობრივი და ასაკობრივი ჯგუფების პროცენტული წილის ურთიერთმიმართება (იხ. დანართი, ცხრილი №23, №24, №25):



როგორც მოცემული დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე ახალგაზრდა და ხანდაზმული ბრალდებულები და მსჯავრდებულები საერთო რაოდენობის ყველაზე ნაკლები პროცენტული მაჩვენებლებით ხასიათდებიან.



ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი კატეგორიები

2015 წლის ოქტომბრის თვეში, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში განთავსებული იყო სულ 10 201 ბრალდებული და მსჯავრდებული. მათი კლასიფიცირება სქესობრივ-ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით მოცემულია შემდეგ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №26):







ბრალდებულები და მსჯავრდებულები პენიტენციურ დაწესებულებებში

2015 წლის ოქტომბრის თვეში, 8 პენიტენციურ დაწესებულებაში სულ 1 454 ბრალდებული ირიცხებოდა. საერთო შეფარდებით დაწესებულებებში განთავსებულ პირთა 14.3%-ს ბრალდებულები შეადგენდნენ. დაწესებულებებს შორის მათი ხვედრითი წილი შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №27):

ბრალდებულები დაწესებულებებში



როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე მეტი ბრალდებული 2015 წლის ოქტომბრის თვეში №8 დაწესებულებაში ირიცხებოდა.

2015 წლის ოქტომბრის თვეში, 15 პენიტენციურ დაწესებულებაში სულ 8 747 მსჯავრდებული ირიცხებოდა. საერთო შეფარდებით დაწესებულებებში განთავსებულ პირთა 85.7%-ს მსჯავრდებულები შეადგენდნენ. დაწესებულებებს შორის მათი ხვედრითი წილი შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №27):

მსჯავრდებულები დაწესებულებებში



როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე მეტი მსჯავრდებული 2015 წლის ოქტომბრის თვეში №17 დაწესებულებაში ირიცხებოდა.

11.2 არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები

2015 წლის ოქტომბრის თვეში, პენიტენციურ სისტემაში განთავსებული არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რიცხვი (52) ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.5%-ს უტოლდება. არასრულწლოვანთა შორის 24 ბრალდებულია, ყველა მამრობითი სქესის. არასრულწლოვანი ბრალდებულების რიცხვი ბრალდებულთა საერთო რაოდენობის 1.7%-ს, ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 46.2%-ს შეადგენს. ქვემოთ მოცემულია დაწესებულებებში მათი განაწილების ამსახველი სურათი (იხ. დანართი, ცხრილი №28):



არასრულწლოვანთა შორის 28 მსჯავრდებულია, ყველა მამრობითი სქესის. არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რიცხვი, მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.3%-ს, ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და

მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 53.8%-ს შეადგენს. მათი საერთო რაოდენობის პენიტენციურ დაწესებულებებში განაწილების მაჩვენებელი შემდეგია (იხ. დანართი, ცხრილი №28):



11.3 მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით

2015 წლის ოქტომბრის თვეში, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულები, ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 85.7%-ს შეადგენდა. მათგან უმეტესობას მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირები წარმოადგენდნენ. ასევე, დიდი ხვედრითი წილით განისაზღვრებოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირების რაოდენობაც. რაც შეეხება მსჯავრდებულთა გადანაწილებას დანაშაულის სახეობის მიხედვით, უნდა აღინიშნოს, რომ მათი უმრავლესობა საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ ჩადენილი (4 203) და ეკონომიკური (4 146) დანაშაულისათვის იხდის სასჯელს, ასევე მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება ადამიანის წინააღმდეგ (2 065) ჩადენილი დანაშაული (იხ. დანართი, ცხრილი №29, №30):


მსჯავრდებულები
დანაშაულის კატეგორიის მიხედვით
ნაკლებად მძიმე
9,4% (819)
მძიმე
45,7% (3 996)
განსაკუთრებით
მძიმე
45,0% (3 932)


მსჯავრდებულები
დანაშაულის კატეგორიის მიხედვით დაწესებულებებში
1400
1200
1000
800
600
400
200
0
161
683
317
12
36
52
18
123
117
4
48
75
6
31
32
215
673
575
2
18
21
0
18
5
18
101
151
111
535
562
204
1006
611
5
38
16
50
591
1314
5
36
40
8
59
44
№2 დაწესებულება
№3 დაწესებულება
№5 დაწესებულება
№6 დაწესებულება
№7 დაწესებულება
№8 დაწესებულება
№9 დაწესებულება
№11 დაწესებულება
№12 დაწესებულება
№14 დაწესებულება
№15 დაწესებულება
№16 დაწესებულება
№17 დაწესებულება
№18 დაწესებულება
№19 დაწესებულება
ნაკლებად მძიმე - 819
მძიმე - 3 996
განსაკუთრებით მძიმე - 3 932



11.4 მსჯავრდებულები დაწესებულების ტიპის მიხედვით

2015 წლის ოქტომბრის თვეში, მსჯავრდებულთა რიცხვი, რომელთაც დაწესებულების ტიპი განესაზღვრათ 8 394-ს, ხოლო დაწესებულების განსაზღვრის მოლოდინში მყოფ მსჯავრდებულთა რაოდენობა 353-ს შეადგენდა. მათი რაოდენობა შეფარდებული დაწესებულების ტიპის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №31):



11.5 საპატიმრო ადგილების ლიმიტები

„საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 27 დეკემბრის №184 ბრძანებით დადგენილია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობრივი ლიმიტი თითოეული დაწესებულებისთვის. დაწესებულებებში განთავსებულ პირთა რეალური რაოდენობის შედარება ლიმიტირებულ რაოდენობასთან ხდება თითოეულ დაწესებულებასთან მიმართებაში.

საქართველოს პენიტენციურ სისტემას დაქვემდებარებულ 15 დაწესებულებაში არსებული საპატიმრო ადგილების საერთო ლიმიტირებული რაოდენობა 21 398-ს შეადგენს. 2015 წლის ოქტომბრის მონაცემებით, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა (10 201) ამ ზღვარზე 11 197 ერთეულით (52.3%) ნაკლებია. ამ მხრივ სხვადასხვა დაწესებულებებში განსხვავებული მდგომარეობაა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში, დადგენილ ლიმიტებთან შედარებით, მეტობის მაჩვენებელი არცერთ დაწესებულებაში არ ფიგურირებს. ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე აღნიშნულია დაწესებულებების ჩამონათვალი ლიმიტებით, სადაც კლების ნიშნით წამძღვარებული პროცენტული მაჩვენებლის ქვემოთ ფრჩხილებში მოცემულია შესაბამისი ციფრი. ამდენად, თითოეულ დაწესებულებაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ამჟამინდელი რაოდენობის დადგენილ ლიმიტზე ნაკლებობა გრაფიკზე გამოსახულია როგორც რაოდენობრივი, ასევე პროცენტული მაჩვენებლის სახით (იხ. დანართი, ცხრილი №32):

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა დადგენილ ლიმიტებთან

შედარებით ნაკლებობის მაჩვენებლებით



როგორც მოცემული გრაფიკიდან ჩანს, 2015 წლის ოქტომბერში არცერთ დაწესებულებაში არ ყოფილა განთავსებული ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დადგენილ ლიმიტებთან შედარებით ჭარბი რაოდენობა. ხოლო, დადგენილთან შედარებით, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა პროცენტულად ყველაზე ნაკლები რაოდენობა №17 დაწესებულებაში დაფიქსირდა.

11.6 უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულები და მსჯავრდებულები

2015 წლის ოქტომბრის თვეში, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში განთავსებულნი იყვნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები 37 ქვეყნიდან და 1 მოქალაქეობის არმქონე პირი. მიმდინარე წლის ოქტომბრის დასასრულს მათი რიცხვი 338-ს (ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 3.3%) შეადგენდა. მათ შორის: №2 დაწესებულებაში 1 (ისრაელი-საქართველო), №5 დაწესებულებაში 1 (სომხეთი-თურქეთი), №8 დაწესებულებაში 1 (ირანი-საქართველო), №14 დაწესებულებაში 3 (რუსეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო), №15 დაწესებულებაში 3 (რუსეთი-საქართველო, რუსეთი-საბერძნეთი, სომხეთი-საქართველო) და №17 დაწესებულებაში 2 (საბერძნეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო) ორმაგი მოქალაქეობის მქონე ბრალდებული/მსჯავრდებული იმყოფებოდა.

ქვემოთ მოცემულია პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ უცხოელ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობის ამსახველი დიაგრამები მოქალაქეობის სახელმწიფოების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №33, №34):



როგორც ამ დიაგრამიდან ჩანს, უცხოელთაგან უდიდესი ნაწილი თურქეთზე, აზერბაიჯანზე, რუსეთსა და სომხეთზე მოდის. დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდებიან ქვეყნები, რომლებიც დიაგრამაზე გაერთიანებულია კატეგორიაში „სხვა“ (აშშ - 1, ბანგლადეში - 1, ეგვიპტე - 1, ეკვადორი - 1, ესპანეთი - 1, ინდოეთი - 1, კამერუნი - 1, კოლუმბია - 1, კოტ-დ’ივუარი - 1, ლიბანი - 1, მალი - 1, მექსიკა - 1, საფრანგეთი - 1, ტაჯიკეთი - 1, ყირგიზეთი - 1).


უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე
ბრალდებულები და მსჯავრდებულები
60
50
40
30
20
10
0
12
34
0
4
5
0
2
6
34
56
2
0
0
5
4
8
0
2
3
0
1
9
2
0
0
2
8
35
2
5
5
0
2
0
16
25
15
5
1
5
0
4
2
1
0
1
8
7
ახერბაიჯანი - 46
ბელგარეთი - 4
ბრაზილია - 5
ერაყი - 8
თურქეთი - 90
იემენი - 2
ისრაელი - 5
ირანი - 12
მოლდავეთი - 2
ნეპალი - 3
ნიგერია - 10
პაკისტანი - 2
პალესტინა - 2
რუსეთი - 43
საბერძნეთი - 7
სამხრეთ აფრიკა - 5
სირია - 2
სომხეთი - 41
სომალი - 20
უზბეკეთი - 6
უკრაინა - 4
ჩინეთი - 3
მოქალაქეობის არმქონე - 1
სხვა - 15
ბრალდებულები - 124
მსჯავრდებულები - 214



11.7 წარსულში ნასამართლევი ბრალდებულები და მსჯავრდებულები

2015 წლის ოქტომბრის თვეში, წარსულში ნასამართლევ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა (4 418) სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №35):





11.8 დაოჯახებული ბრალდებულები და მსჯავრდებულები

2015 წლის ოქტომბრის თვეში, დაოჯახებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა (4 986) სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №36):


დაოჯახებული ბრალდებულები და მსჯავრდებულები
სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში
არასრულწლოვანი კაცი 0,02% (1)
სრულწლოვანი ქალი 2,7% (133)
არასრულწლოვანი ქალი 0,0% (0)
სრულწლოვანი კაცი 97,3% (4 852)


დაოჯახებული ბრალდებულები და მსჯავრდებულები
დაწესებულებებში
1400
1200
1000
800
600
400
200
0
772
0
55
0
128
0
63
0
47
0
1188
1
28
0
192
0
601
0
822
0
14
0
979
0
65
0
31
0
№2 დაწესებულება
№3 დაწესებულება
№5 დაწესებულება
№6 დაწესებულება
№7 დაწესებულება
№8 დაწესებულება
№9 დაწესებულება
№12 დაწესებულება
№14 დაწესებულება
№15 დაწესებულება
№16 დაწესებულება
№17 დაწესებულება
№18 დაწესებულება
№19 დაწესებულება
სრულწლოვანი - 4 985
არასრულწლოვანი - 1

11.9 პენიტენციურ სისტემაში და სისტემის გარეთ გადაყვანა

2015 წლის ოქტომბრის თვეში, პენიტენციურ სისტემაში სულ 991 პირის გადაადგილება დაფიქსირდა. მათგან, საერთო პროფილის საავადმყოფოებში - 326, ხოლო სხვა პენიტენციურ დაწესებულებებში გადაყვანილ პირთა რაოდენობამ სულ 665 შეადგინა (იხ. დანართი, ცხრილი №37):

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა გადაყვანა



11.10 პენიტენციური სისტემიდან გასვლა

2015 წლის ოქტომბრის თვეში, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პირთა რაოდენობამ წინა თვესთან შედარებით 756 ერთეულით დაიკლო. ქვემოთ დიაგრამაზე ნაჩვენებია საანგარიშო პერიოდისთვის პენიტენციური სისტემიდან სხვადასხვა საფუძვლით გასულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა (იხ. დანართი, ცხრილი №38):



როგორც ვხედავთ, პენიტენციური სისტემიდან გასულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უდიდესი წილი კალენდარულად (188), შეწყალებით (106), პირობით ვადამდე (83) და პირობითი მსჯავრით (31) გათავისუფლებულ მსჯავრდებულებზე მოდის. ხოლო, დაბალი მაჩვენებლით არის წარმოდგენილი გათავისუფლება ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო (8) და ამნისტია (1). გარდა ამისა, სხვა სახით გათავისუფლებულთა (გირაო, საქმის შეწყვეტა, ექსტრადიცია და სხვა) საერთო რაოდენობა (339) მთლიანი რაოდენობის 44.8%-ს შეადგენდა.

ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ხანდაზმულობის ასაკის გამო გათავისუფლება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ხანდაზმულობის ასაკის გამო გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა დეტალური მონაცემები მოცემულია შემდეგ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №38, №39):

ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ხანდაზმულობის ასაკის გამო გათავისუფლებული მსჯავრდებულები



შეწყალება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, შეწყალების გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა დეტალური მონაცემები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში და დაწესებულებების მიხედვით მოცემულია შემდეგ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №38, №40):

შეწყალებული მსჯავრდებულები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში





ამნისტია

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ამნისტიის შედეგად 1 სრულწლოვანი კაცი ბრალდებული/მსჯავრდებული №8 დაწესებულებიდან გათავისუფლდა (იხ. დანართი, ცხრილი №38, №41).

11.11 რესოციალიზაციის მიმდინარეობა[1]

რესოციალიზაციის მიმდინარეობის მაჩვენებელი თითოეული დაწესებულებისთვის პროგრამებისა და ღონისძიებათა ტიპების მიხედვით ითვლება. ამ მიზნით ხდება თითოეულ პროგრამაში ჩართული

[1] რესოციალიზაციის მონაცემები მოიცავს როგორც მიმდინარე (1 196), ასევე საანგარიშო თვეში დასრულებულ (440), სერთიფიცირებულ (0) და დიპლომირებულ პროგრამებს (0).

ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის აღრიცხვა და მათი დაყოფა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებად.

2015 წლის ოქტომბრის თვეში, პენიტენციურ დაწესებულებებში რესოციალიზაციის პროგრამები სულ 1 636 პირისთვის მოქმედებდა. აღნიშნულ პროგრამებში, ყველაზე დიდი ადგილი, ქვემოთ მოცემული მაჩვენებლების მიხედვით შრომას (520) ეკავა.

ქვემოთ დიაგრამაზე ნაჩვენებია თითოეულ რესოციალიზაციის პროგრამასა და ღონისძიებაში ჩართული ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობის პროცენტული შედარება (იხ. დანართი, ცხრილი №42):

რესოციალიზაციის პროგრამებში/ღონისძიებებში ჩართული ბრალდებულები და მსჯავრდებულები



2015 წლის ოქტომბრის თვეში, არასრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მიმართ განხორციელდა/მიმდინარეობდა რესოციალიზაციის 333 (მათ შორის: №2 დაწესებულება - 27, №8 დაწესებულება - 16, №11 დაწესებულება - 290) პროგრამა/ღონისძიება. რაც შეეხება უშუალოდ ღონისძიებებს, განხორციელდა/მიმდინარეობდა: 42 - ზოგადი განათლების, 33 - არაფორმალური სახელობო/პროფესიული განათლების, 19 - ფსიქო-სოციალური პროგრამების, 30 - ფსიქო-სოციალური თერაპიის, 21 - სპორტული წრთვნის, 34 - სპორტული ღონისძიებების (ტურნირები) და 154 - კულტურული ღონისძიებების.

ქვემოთ დიაგრამაზე ნაჩვენებია რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართული პირების რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში:



საანგარიშო პერიოდში, 52 მამრობითი სქესის არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული რესოციალიზაციის 333 სხვადასხვა პროგრამასა და ღონისძიებაში იღებდა მონაწილეობას.

11.12 სამეურნეო სამუშაოებში დასაქმება

2015 წლის ოქტომბრის თვეში, პენიტენციური დაწესებულებების სამეურნეო სამსახურებში დასაქმებული იყო 520 პირი. ქვემოთ დიაგრამებზე ნაჩვენებია მათი რაოდენობა სქესობრივი ჭრილისა და შრომის ანაზღაურების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №43):


დაწესებულებებში
დასაქმებული მსჯავრდებულები
№19 დაწესებულება
№18 დაწესებულება
№17 დაწესებულება
№16 დაწესებულება
№15 დაწესებულება
№14 დაწესებულება
№12 დაწესებულება
№11 დაწესებულება
№9 დაწესებულება
№8 დაწესებულება
№7 დაწესებულება
№6 დაწესებულება
№5 დაწესებულება
№3 დაწესებულება
№2 დაწესებულება
5940,47
32
0,00
0
15222,61
83
0,00
0
10947,63
60
13798,80
74
4379,77
22
0,00
0
800,00
4
22894,02
127
800,00
4
5097,62
27
3866,67
21
1542,86
9
11303,57
57
0
5000
10000
15000
20000
25000
ანაზღაურება - 96 594,02 ლარი
დასაქმებულთა რაოდენობა - 520


დასაქმებული მსჯავრდებულები
სქესობრივ ჭრილში
სრულწლოვანი ქალი
4,0% (21)
სრულწლოვანი კაცი
96,0% (499)

11.13 დისციპლინური ღონისძიებები

2015 წლის ოქტომბრის თვეში, დისციპლინური ღონისძიება პენიტენციურ დაწესებულებებში 280-ჯერ იქნა გამოყენებული. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული დისციპლინური ღონისძიებები სახეობებისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №44):





11.14 წახალისების ღონისძიებები

2015 წლის ოქტომბრის თვეში, მსჯავრდებულთა წახალისება განხორციელდა 185-ჯერ. მათი გადანაწილება წახალისების სახეობებისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №45):





11.15 პაემნის ღონისძიებები

2015 წლის ოქტომბრის თვეში, ბრალდებულებმა და მსჯავრდებულებმა პაემნის უფლებით სულ 4 012-ჯერ ისარგებლეს. განხორციელებული პაემნები სახეობებისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №46):





11.16 პენიტენციურ სისტემაში მომხდარი დანაშაულები

დანაშაულებრივი ფაქტების ჩადენის მაჩვენებელი პენიტენციურ სისტემაში გამოითვლება თითოეული დაწესებულებისთვის საქართველოს სსკ მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების მიხედვით, რაც დაწესებულებებში კრიმინოგენული ვითარების ცალ-ცალკე ჩვენების გარდა საერთო ვითარების ასახვის საშუალებასაც იძლევა. გარდა ამისა, კრიმინოგენული სიტუაციის აღმრიცხავი მონაცემთა ცხრილები დანაშაულებრივი ფაქტებისა და მათ ჩამდენ პირთა ასაკის ურთიერთმიმართებასაც აჩვენებს.

სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2015 წლის ოქტომბრის თვეში, პენიტენციურ სისტემაში მომხდარი გამოსაძიებელი ფაქტების რაოდენობამ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 10 მუხლით გათვალისწინებული 59 ერთეული ქმედება შეადგინა. მათგან, ყველაზე მეტი ხვედრითი წილი საქართველოს სსკ 378[2] მუხლით ჩადენილ ქმედებებზე (პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, დროებითი ყოფნის იზოლატორსა და ჰაუპტვახტში მოთავსებული პირისათვის დაწესებულებაში აკრძალული საგნის შენახვა, ტარება, სარგებლობა) მოდის. მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში ეს მაჩვენებელი 33 ერთეულს გაუტოლდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია საანგარიშო პერიოდში გამოძიების დაწყების საფუძვლად ქცეული დანაშაულებრივი ფაქტების რაოდენობა და მათი ხვედრითი წილი საერთო რაოდენობაში (იხ. დანართი, ცხრილი №47, №48):



ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტები

დაწესებულებებსა და დაწესებულებების გარეთ, პირთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

2015 წლის ოქტომბრის თვეში, გამოძიება 10 სხვადასხვა დაწესებულებასა და დაწესებულების გარეთ მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტებზე დაიწყო. შემდეგი გრაფიკი ადგილმდებარეობის მიხედვით ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტების პროცენტულ მაჩვენებელს ასახავს:

ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტები
დაწესებულებებში და დაწესებულების გარეთ



საანგარიშო პერიოდში, გამოძიება ჩადენილ დანაშაულებრივ ფაქტზე სულ 47 პირის მიმართ[2] წარიმართა. გამოძიების ობიექტს - ქმედების ჩამდენ პირთა საერთო რაოდენობის უმრავლესობას 35-45 წლამდე ასაკის პირები შეადგენდნენ. ქვემოთ ნაჩვენებ დიაგრამაზე ასახულია 2015 წლის ოქტომბრის თვეში ჩადენილი ქმედებებისა და ჩამდენ პირთა ასაკობრივი კატეგორიების ურთიერთმიმართება:

[2] სსკ-ის 18,108-ე მუხლით 1 საქმეზე, ასევე სსკ-ის 378[2] მუხლით 11 საქმეზე გათვალისწინებულ ქმედებებზე დაწყებულია გამოძიება ფაქტებზე, პირების გარეშე.

პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც დაწყებულია გამოძიება



11.17 ავადობა პენიტენციურ სისტემაში[3]

ავადობა (პრევალენტობა)

2015 წლის ოქტომბრის თვეში, სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მონაცემებით, ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციების შედეგად გამოვლენილი სხვადასხვა სახეობის დაავადებათა საერთო რაოდენობა 9 348-ს გაუტოლდა. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია დაავადებულთა ხვედრითი წილი კონკრეტული დაავადების მიხედვით. სამედიცინო მდგომარეობის ამსახველი მონაცემთა ცხრილები ასევე იძლევა დაავადებების სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში გავრცელების რაოდენობრივი მასშტაბის დადგენის საშუალებას.

პენიტენციურ სისტემაში გავრცელებული დაავადებებიდან ყველაზე დიდი წილი საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებებზე (1 161), ზოგიერთ ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებებზე (935), ფსიქიკურ და ქცევით აშლილობებზე (932), ვირუსულ ინფექციებზე, რომელთაც ახასიათებთ კანისა და ლორწოვანი გარსის დაზიანება (890) და ვირუსულ ჰეპატიტებზე (811) მოდის. ხოლო, ყველაზე დაბალი მაჩვენებლით წარმოდგენილი დაავადებები გაერთიანებულია კატეგორიაში „სხვა“ (ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით გამოწვეული ავადმყოფობები (53), უპირატესად სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები (38), სიმსივნეები (19), სისხლისა და სისხლმბადი ორგანოების დაავადებები და იმუნური მექანიზმების მიმდინარე ზოგიერთი დარღვევები (19), სხვა ვირუსული დაავადებები (2), ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა (1) ნაწლავური ინფექციები (1), თანდაყოლილი მანკები, დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები (1) (იხ. დანართი, ცხრილი №49):

[3] დაავადებათა შესაბამისი კოდები (ICD10) იხილეთ ანგარიშის დანართში.



დაავადებული პირების კატეგორიაში ყველაზე მეტი მაჩვენებლით სრულწლოვანი კაცები (8 270) ხასიათდებიან. დაავადებები სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ქვემოთ დიაგრამაზეა წარმოდგენილი (იხ. დანართი, ცხრილი №50):



შემდეგი დიაგრამა განსაზღვრავს ქალებისა და კაცების ასაკობრივი კატეგორიების ხვედრით წილს დაავადებულთა საერთო რაოდენობაში:



მოცემული დიაგრამიდან ჩანს, რომ მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში, დაავადებათა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კაცებში 35-45, ქალებში 45 წლის ზემოთ ასაკობრივ კატეგორიებში გამოვლინდა.

არასრულწლოვნებში დაავადებების რაოდენობა დაავადებათა მთლიანი რაოდენობის 1.1%-ს შეადგენს. დიაგრამაზე აღნიშნულია დაავადებათა მაჩვენებელი არასრულწლოვან ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებში დაავადებათა კატეგორიის მიხედვით.

დაავადებები არასრულწლოვან კაცებში/ქალებში



შემდეგი ორი დიაგრამა აჩვენებს დაავადებათა კატეგორიების გავრცელების მასშტაბს ცალ-ცალკე მამრობითი და მდედრობითი სქესის სრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მიმართ (იხ. დანართი, ცხრილი №50):

დაავადებები სრულწლოვან კაცებში



დიაგრამაზე ყველაზე დაბალი მაჩვენებლით წარმოდგენილი დაავადებები გაერთიანებულია კატეგორიაში „სხვა“ (ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები - 59; ადამიანის იმუნოდეფიციტის გზით გამოწვეული ავადმყოფობები - 52; სიმსივნეები - 18; სისხლისა და სისხლმბადი ორგანოების დაავადებები და იმუნური მექანიზმის მიმდინარე ზოგიერთი დარღვევები - 14; უპირატესად სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები - 9; სხვა ვირუსული დაავადებები - 2; ნაწლავური ინფექციები - 1; თანდაყოლილი მანკები, დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები - 1).

დაავადებები სრულწლოვან ქალებში



როგორც დიაგრამებიდან ჩანს, მამრობითი სქესის სრულწლოვან ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებში საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები ხოლო, მდედრობითი სქესის სრულწლოვან ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებში შარდ-სასქესო სისტემის დაავადებები სჭარბობს.

სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფა

პენიტენციურ დაწესებულებებში მკურნალობასთან დაკავშირებული მონაცემები ამ ეტაპზე წლიურ ფორმაში ყოველთვიურად გაწეული პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებების მიხედვით ითვლება.

ქვემოთ ნაჩვენები დიაგრამა პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პირთათვის 2015 წლის ოქტომბრის თვეში სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფას პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებების ტიპების მიხედვით წარმოგვიდგენს (იხ. დანართი, ცხრილი №51):



11.18 გარდაცვალება

2015 წლის ოქტომბრის თვეში ბრალდებულის/მსჯავრდებულის გარდაცვალება არ დაფიქსირებულა (იხ. დანართი, ცხრილი №52).

ნაწილი 12 - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო

12.1 პირობით მსჯავრდებულები

პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობის სტატისტიკური მონაცემები რეგიონულად როგორც სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში, ასევე შეფარდებული ღონისძიების მიხედვით ითვლება. 2015 წლის ოქტომბრის თვის მონაცემებით, საქართველოში სულ 18 855 პირობით მსჯავრდებული დაფიქსირდა. რეგიონებს შორის მაღალი მაჩვენებლით თბილისი გამოირჩევა, რომელსაც ასევე მაღალი მაჩვენებლით სამეგრელო ზემო-სვანეთის, იმერეთის, ქვემო ქართლისა და აჭარის რეგიონი მოსდევს. პირობით მსჯავრდებულთა ყველაზე მცირე რაოდენობა კი რაჭა-ლეჩხუმსა და ქ/სვანეთის რეგიონშია დაფიქსირებული (იხ. დანართი, ცხრილი №53):



შეფარდებული ღონისძიების მიხედვით, ქვეყანაში პირობით მსჯავრდებულთა ყველაზე მეტი რაოდენობა პირობით მსჯავრზე (15 373) მოდის, ხოლო ყველაზე მცირე მაჩვენებლით (8) ხასიათდება რაოდენობა იმ პირებისა, რომლებსაც შეფარდებული აქვთ სასჯელის მოხდის გადავადება.

პირობით მსჯავრდებულები
შეფარდებული ღონისძიების მიხედვით



მთელი ქვეყნის მასშტაბით, პირობით მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში უმეტესობა სრულწლოვანი კაცებით არის წარმოდგენილი, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №54):

პირობით მსჯავრდებულთა
სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები



12.2 საქმეების საშუალო რაოდენობა[4] ერთ ოფიცერზე

2015 წლის ოქტომბრის თვის მონაცემების მიხედვით, ქვეყანაში 18 855 პირობით მსჯავრდებულის საქმე 170 პრობაციის ოფიცერზე ნაწილდება. საქმეების საშუალო რაოდენობით ერთ ოფიცერზე რეგიონებში სამეგრელო-ზ/სვანეთი (141), გურია (131) და თბილისი (127) ლიდერობს, ხოლო ყველაზე მცირე საშუალო მაჩვენებელი რაჭა-ლეჩუმსა და ქ/სვანეთში (22) დაფიქსირდა. მთლიანი ქვეყნის მასშტაბით, საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში 111 იყო. ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე, საქმეების საშუალო რაოდენობის რეგიონული მაჩვენებელია ასახული (იხ. დანართი, ცხრილი №55):



[4] საქმეების საშუალო რაოდენობა თითოეულ პრობაციის ოფიცერზე რეგიონულ ჭრილში გამოითვლება საანგარიშო პერიოდისთვის მოცემულ რეგიონში დაფიქსირებული პრობაციონერთა რაოდენობის გაყოფით ამავე რეგიონში მოქმედ პრობაციის ოფიცრების რაოდენობაზე. მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთ ოფიცერზე საქმეების საშუალო რაოდენობის გამოთვლისას პრობაციონერთა საერთო რაოდენობა იყოფა საქართველოში მოქმედ ყველა პრობაციის ოფიცრის რაოდენობის აღმნიშვნელ რიცხვზე. პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობა როგორც რეგიონულ ჭრილში, ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით ასახულია დანართის №53 ცხრილში სახელწოდებით „პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობა შეფარდებული ღონისძიების მიხედვით რეგიონულ ჭრილში“.

12.3 პირობით მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობას დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით შემდეგი დიაგრამები ასახავს (იხ. დანართი, ცხრილი №56):





12.4 არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით

2015 წლის ოქტომბრის თვის მონაცემებით, არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებულები (230) პირობით მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 1.2%-ს შეადგენდნენ. არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებულების 3.0% (7) ქალია. მათი საერთო რაოდენობის კლასიფიცირება დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით შემდეგ სურათს გვაძლევს (იხ. დანართი, ცხრილი №57):





12.5 პირობით მსჯავრდებულები არასაპატიმრო სასჯელის ტიპის მიხედვით

არასაპატიმრო სასჯელის შეფარდება ხდება როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი სასჯელის სახით. არასაპატიმრო სასჯელშეფარდებული პირების რაოდენობა (3 937) პირობით მსჯავრდებულთა საერთო რიცხვის 20.9%-ს შეადგენს. არასაპატიმრო სასჯელშეფარდებული პირების 2.6% (103) ქალია. მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში, ამ სახის პირობით მსჯავრდებულებს თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლებაჩამორთმეული და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომადანიშნული პირები წარმოადგენდნენ. საანგარიშო პერიოდში, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა (ძირითადი/დამატებითი სასჯელი) სულ 3 503 (არასაპატიმრო სასჯელის საერთო რაოდენობის 89.0%), საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნა (ძირითადი/დამატებითი სასჯელი) სულ 434 (არასაპატიმრო სასჯელის საერთო რაოდენობის 11.0%) პირს ჰქონდა შეფარდებული, ხოლო გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნა არ დაფიქსირებულა (0) (იხ. დანართი, ცხრილი №58):

თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა



საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნა



საანგარიშო პერიოდში, პრობაციის ღონისძიებაშეფარდებულ პირთა რაოდენობა სულ 18 634-ს აღწევს. მათი ხვედრითი წილი შეფარდებული პრობაციის ღონისძიების მიხედვით ამგვარია (იხ. დანართი, ცხრილი №53):



12.6 უცხოელი პირობით მსჯავრდებულები

2015 წლის ოქტომბრის თვეში, საქართველოში 16 სხვადასხვა მოქალაქეობის 104 უცხოელი პირობით მსჯავრდებული დაფიქსირდა, რაც პირობით მსჯავრდებულთა მთლიანი რაოდენობის 0.6%-ია. მოქალაქეობის მიხედვით მათი განაწილების მაჩვენებელი ქვემოთ დიაგრამაზეა მოცემული (იხ.დანართი, ცხრილი №59):



12.7 პირობით მსჯავრდებულთა მატება

2015 წლის ოქტომბრის თვეში, სასამართლო გადაწყვეტილება არასაპატიმრო სასჯელისა და პრობაციის ღონისძიების შეფარდების შესახებ სულ 1 066 პირის მიმართ იქნა გამოტანილი. შემდეგ დიაგრამაზე ასახულია ზემოთ აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებების რაოდენობა როგორც რეგიონულად, ასევე შეფარდებული ღონისძიების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №60):





ქვემოთ დიაგრამაზე მოცემულია 2015 წლის ოქტომბრის თვისთვის პირობით მსჯავრდებულთა მატების მაჩვენებელი სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში (იხ. დანართი, ცხრილი №61):



12.8 დასრულებული საქმეები

2015 წლის ოქტომბრის თვეში, დასრულებული საქმეები (746) საფუძვლისა და რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №62):





როგორც დიაგრამიდან ჩანს, დასრულებული საქმეების რაოდენობის მხრივ თბილისის რეგიონის შემდეგ მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა იმერეთი, აჭარა, ქვემო ქართლი და სამეგრელო-ზ/სვანეთი. ხოლო, რაოდენობრივად ბოლო ადგილზე რაჭა-ლეჩხუმისა და ქ/სვანეთის რეგიონია.

დასრულებული საქმეების რაოდენობა პირობით მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში შემდეგია (იხ. დანართი, ცხრილი №63):



12.9 პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია

2015 წლის ოქტომბრის თვეში, პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით თბილისის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელო-ზ/სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქ/სვანეთისა და აჭარის რეგიონებში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების, საზოგადოებრივ-კულტურული საქმიანობის, სარეაბილიტაციო და სამკურნალო პროგრამების, განრიდებულთა შეფასებისა და დასაქმების ღონისძიებები სულ 661 პირობით მსჯავრდებულისთვის მოქმედებდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის 2015 წლის ოქტომბრის თვის სტატისტიკა პროგრამების, სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და რეგიონების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №64, №65):



პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია
სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია
რეგიონულ ჭრილში



12.10 პირობით მსჯავრდებულთა დასაქმება

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია პირობით მსჯავრდებულთა დასაქმების 2015 წლის ოქტომბრის თვის სტატისტიკა სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და რეგიონების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №66):





12.11 პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლობის მოხსნა

2015 წლის ოქტომბრის თვეში პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და მსჯავრდებულისთვის ნასამართლობის მოხსნის დეტალური მონაცემები ასახულია შემდეგ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №67):





12.12 პირობითი მსჯავრდებულთა შეწყალება

2015 წლის ოქტომბრის თვეში შეწყალებულ იქნა 1 პირობით მსჯავრდებული. ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია პირობით მსჯავრდებულთა შეწყალების 2015 წლის ოქტომბრის თვის სტატისტიკა სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და რეგიონების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №68):